მოწვევა სატენდერო წინადადებების წარმოდგენაზე (re-bidding)

თარიღი:	**14 იანვარი, 2019 წელი**
სესხის No. და დასახელება	**სესხის No. 3078-GEO: ურბანული მომსახურებების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა, ტრანში 3**
კონტრაქტის No. და დასახელება	**UWSCG-ICB-TEL-01-2019 (re-bid), ქ. თელავის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია და განახლება**
სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადა	**2019 წლის 25 თებერვალი, 16:00 (თბილისის დრო)**

1. საქართველომ მიიღო სესხი აზიის განვითარების ბანკისაგან (ADB) ურბანული მომსახურებების საინვესტიციო პროგრამის დაფინანსებისათვის. აღნიშნული სესხის ნაწილი გამოყენებული იქნება ზემოხსენებული კონტრაქტორის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოების დასაფინანსებლად.ტენდერში მონაწილეობა შეუძლია აზიის განვითარების ბანკის უფლებამოსილი ქვეყნებიდან წარმოდგენილპრეტენდენტებს.
2. საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია (UWSCG) იწვევს დალუქულ სატენდერო წინადადებებს უფლებამოსილი პრეტენდენტებისაგან, თელავში წყალმომარაგების სისტემის გასაუმჯობესებლად, კერძოდ, შემდეგი სამუშაოების განსახორციელებლად: 6 ახალი წყალმომარაგების ჭაბურღილის მშენებლობა და 5 არსებული ჭაბურღილის რეაბილიტაცია, 1.4 კმ სიგრძის მაგისტრალური მილისა და 59 კმ ქსელის მილების მოწყობა, სახლის დაერთებების მოწყობა, ბინების ინდივიდუალური გამრიცხველიანების სამუშაოები, 5 ახალი რეზერვუარის მშენებლობა საერთო მოცულობით 7,000 m^3. მთელი სამუშაოების მშენებლობის სავარაუდო პერიოდია 540 დღე.
3. საერთაშორისო კონკურენტუნარიანი ტენდერი წარიმართება აზიის განვითარების ბანკის ერთეტაპიანი: ერთკონვერტიანი პრეკვალიფიკაციის გარეშე სატენდერო პროცედურების მიხედვით. ტენდერი ღიაა უფლებამოსილი ქვეყნის ყველა პრეტენდენტისათვის.

Asian Development Bank

4. მინიმალური მთავარი საკვალიფიკაციო კრიტერიუმები მოიცავს, **მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ შემდეგით:**

- **საშუალო წლიური სამშენებლო ბრუნვა:** მინიმალური საშუალო წლიური სამშენებლო ბრუნვა **13 მილიონი US$** ან მისი ექვივალენტის ოდენობით, რომელიც გამოითვლება დასრულებული ან მიმდინარე კონტრაქტებისათვის მიღებული სერტიფიცირებული გადახდების ჯამით ბოლო **3 წლის** განმავლობაში (ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში: თითოეულმა პარტნიორმა უნდა დააკმაყოფილოს მოთხოვნის 25%, ხოლო ერთმა პარტნიორმა მოთხოვნის 40%);
- **ფინანსური რესურსები:** იმისათვის, რომ პრეტენდენტმა დააკმაყოფილოს ფინანსური რესურსების მოთხოვნა, პრეტენდენტმა უნდა აჩვენოს ლიკვიდირებული აქტივების, აკრედიტივის ან სხვა ფინანსური რესურსების არსებობა ან მათზე წვდომა **2 მილიონი US$** (ან ექვივალენტის) ოდენობით, (ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში: თითოეულმა პარტნიორმა უნდა დააკმაყოფილოს მოთხოვნის 25%, ხოლო ერთმა პარტნიორმა მოთხოვნის 40%);
- **მსგავსი ზომისა და ტიპის კონტრაქტი:**სულ მცირე ერთ კონტრაქტში მონაწილეობა, რომელიც წარმატებით ან არსებითად დასრულდა ბოლო **5 წლის** განმავლობაში და რომელიც შემოთავაზებული სამუშაოების მსგავსია, სადაც პრეტენდენტის მონაწილეობის აჭარბებს **7.8 მილიონ US$** ან ექვივალენტს. ხელშეკრულების მსგავსების განსაზღვრა დაეფუძნება ფიზიკურ ზომას, სირთულეს და ხასიათს.

5. დამატებითი ინფორმაციის მიღებისა და სატენდერო დოკუმენტების შემოწმებისათვის პრეტენდენტები უნდა დაუკავშირდნენ შემდეგ ადრესატს:

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“
გიორგი მათიაშვილი, ია მაზანიშვილი, ნინო აბულაძე ან/და ხატია ამილახვარი
ვაჟა-ფშაველას გამზირი 76ბ
0186 თბილისი
საქართველო
ტელეფონი: (995 32) 291 90 60
ფაქსიმილიას ნომერი: (995 32) 22 00 36
ელექტრონული ფოსტის მისამართი:
g.matiashvili@water.gov.ge; i.mazanishvili@water.gov.ge; n.abuladze@water.gov.ge; kh.amilakhvari@water.gov.ge; m.tkhelidze@water.gov.ge;

6. სატენდერო დოკუმენტების ინგლისურ ენაზე შესყიდვისათვის უფლებამოსილმა პრეტენდენტებმა:

Asian Development Bank

- ზემოხსენებულ მისამართზე უნდა გამოიგზავნოს ოფიციალური მოთხოვნა UWSCG-ICB-TEL-01-2019 (re-bid): თელავში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციისა და განახლების სატენდერო დოკუმენტებზე;
- გადაიხადონ არა ანაზღაურებადი გადასახადი (ელექტრონული გადარიცხვით ან ნაღდი ფულით) 250 ლარის ან 100 აშშ დოლარის ოდენობით, რათა მიიღონ არარედაქტირებად CD-ზე ჩაწერილი სატენდერო დოკუმენტაცია, ელექტრონულ ფორმატში UWSCG ოფისში 10:00-დან 17:00 საათამდე, ან გადაიხადონ არა ანაზღაურებადი საფასური 500 ქართული ლარის ან 200 ამერიკული დოლარის ოდენობით, CD-ზე ჩაწერილი სატენდერო დოკუმენტების ელექტრონულ ფორმატში კურიერით მიღებისათვის, ნაღდი ანგარიშსწორებით ან ელექტრონული გადარიცხვით შემდეგ ანგარიშზე:

  შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანი“
  სს ლიბერთი ბანკი, ცენტრალური ფილიალი
  SWIFT CODE: LBRTGE22
  GE67LB0113123325230095 GEL
  GE40LB0113123325230096 USD
  შენიშვნით „მოწვევა სატენდერო პაკეტზე No. UWSCG-ICB-TEL-01-2019 (re-bid)”.

  სატენდერო დოკუმენტების მიღება შეიძლება UWSCG ოფისში ნაღდი ფულით ან ელექტრონული გადარიცხვით **გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის** საფუძველზე; ან წერილობითი მოთხოვნისა და გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე UWSCG კურიერით გაუგზავნის სატენდერო დოკუმენტებს დაინტერესებულ პრეტენდენტებს. UWSCG არ იღებს პასუხისმგებლობას დოკუმენტების დაკარგვისა თუ გვიან მიტანაზე. სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა ელექტრონულ ფორმატში.

7. მიიტანეთ თქვენი სატენდერო წინადადება:
   - ზემოხსენებულ მისამართზე სატენდერო წინადადების ჩაბარების ბოლო ვადამდე ან ბოლო დღეს: **2019 წლის 25 თებერვალი, 16:00 (თბილისის დრო)**
   - სატენდერო დოკუმენტის გარანტიასთან ერთად, როგორც სატენდერო დოკუმენტშია აღწერილი.

სატენდერო წინადადებები გაიხსენება ბოლო ვადის ამოწურვიდან დაუყოვნებლივ, პრეტენდენტების იმ წარმომადგენლების თანდასწრებით, ვინც დასწრებას მოისურვებს.